დანართი №1

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება
შპს არეა

შეფასების თარიღ(ებ)ი 18,19,20 ოქტომბერი, 2022 წელი

დასკვნის წარდგენის თარიღი 28 ნოემბერი 2022 წელი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
დაწესებულების სახელწოდება	შპს არეა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	244555539

ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სურვილია განახორციელოს:	
დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	**დიახ**
საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	**დიახ**
საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	**დიახ**
საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	**არა**
საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	**არა**

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქალაქი ხობი
იურიდიული მისამართი	ქალაქი ხობი. სპორტის ქ. N5
ფაქტობრივი მისამართი	ქალაქი ხობი. სპორტის ქ. N5
საფოსტო ინდექსი	5800
დაწესებულების ვებ-გვერდი	**www.skolaarea.edu.ge**
დაწესებულების ელ-ფოსტა	skola.area@gmail.com
დაწესებულების ტელეფონის ნომერი/ფაქსი	579 02 29 70

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ხელმძღვანელი/წარმომადგენელი (სახელი, გვარი)	ელენე როგავა
ტელეფონის ნომერი/ფაქსი	579 02 29 70
ელ-ფოსტა	skola.area@gmail.com

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

საავტორიზაციო ვიზიტის საფუძველი	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილის, კახაბერ ერაძის 2022 წლის 29 სექტემბრის ბრძანება MES 0 22 0001185646 - ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და შპს არეა-ში ვიზიტის შესახებ''.
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	18,19,20 ოქტომბერს 2022წ.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე (სახელი, გვარი)	ირმა ხუციშვილი
წევრი (სახელი, გვარი)	ვერა ყურულაშვილი

IV. ვიზიტის შეჯამება

ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

სტანდარტი/ქვესტანდარტი		ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		**მუხლი 6**	☒	☐
1.1	სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას	**მუხლი 6/ პუნქტი ა)**	☒	☐
1.2	სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები	**მუხლი 6/ პუნქტი ბ)**	☒	☐
1.3	სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული	**მუხლი 6/ პუნქტი გ)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ი. ხუციშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ვ. ყურულაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის			
1.4	სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	☒	☐
1.5	შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილების შესაძლებლობით	**მუხლი 6 / პუნქტი ე)**	☒	☐
1.6	შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**	☒	☐
2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	☐	☒
2.1	დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	☒	☐
2.1.1	ერთ მისამართზე 250. კვ. მ. ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას 50 მოსწავლეზე ნაკლებგონტინგენტიანი სკოლის ავტორიზაციის შესახებ. ფართზე უფლება უნდა დასტურდებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით	**მუხლი 7/ პუნქტი ა.ა)**	☒	☐
2.1.2	საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	**მუხლი 7/ პუნქტი ა.ბ)**	☐	☒
2.1.3	სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	**მუხლი 7 / პუნქტი ა.გ.)**	☐	☒
2.1.4	სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	**მუხლი 7 / პუნქტი ა.დ)**	☒	☐
2.2.	სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**	☒	☐
2.3	სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით			
2.4	სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	მუხლი 7 / პუნქტი დ)	☒	☐
2.5	სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	მუხლი 7 / პუნქტი ე)	☒	☐
2.6	სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	მუხლი 7 / პუნქტი ვ)	☒	☐
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	მუხლი 7 / პუნქტი ვ. ა)	☒	☐
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	მუხლი 7 / პუნქტი ვ. ბ)	☒	☐
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	მუხლი 7 / პუნქტი ვ. გ)	☒	☐
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	მუხლი 7 / პუნქტი ვ. დ)	☒	☐
2.6.5	კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	მუხლი 7 / პუნქტი ვ. ე)	☒	☐
2.7	სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების,	მუხლი 7/ პუნქტი ზ)	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები			
2.8	შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	**მუხლი 7/ პუნქტი თ)**	☒	☐
2.9	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა	**მუხლი 7/ პუნქტი ი)**	☒	☐
3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	☒	☐
3.1	სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**	☒	☐
3.2	სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**	☒	☐
3.3	სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**	☒	☐
3.4	მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	**მუხლი 8/ პუნქტი დ)**	☒	☐
3.5	სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	**მუხლი 8/ პუნქტი ე)**	☒	☐
3.6	სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	**მუხლი 8/ პუნქტი ვ)**	☒	☐

V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი (სტანდარტთან შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში ქვესტანდარტის მითითებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

სტანდარტი	*საგანმანათლებლო პროგრამები*	*ხარვეზი*
ქვესტანდარტი	*1.1.*	-
	1.2	-
სტანდარტი	*მატერიალური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*2.1.ბ. სპორტული დარბაზი, აუზი მოედანი*	სკოლის სპორტული დარბაზი არ შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, კერძოდ, არ არის იატაკი, არ აქვს ფანჯრები, არ არის დამონტაჟებული გათბობის სისტემა. ***ექსპერტთა ვიზიტის დროს სპორტულ დარბაზი გამოიყენებოდა სამშენებლო მასალის საწყობად. აღნიშნულიდან გამომდინარე, დარბაზში შეუძლებელია სპორტის გაკვეთილების ჩატარება.*** <u>სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას დაურთო მასალები, რითაც დასტურდება დაფიქსირებული ხარვეზის აღმოფხვრა.</u>
სტანდარტი	*ადამიანური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*3.1.*	-

VI. რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა რეკომენდაცია, რომლებიც მიეცა დაწესებულებას სტანდარტებთან უკეთ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ქვესტანდარტის მითითებით.

სტანდარტი	*საგანმანათლებლო პროგრამები*	*რეკომენდაცია*
ქვესტანდარტი	*1.1.*	
სტანდარტი	*მატერიალური რესურსი*	-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტი	*2.1 დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები*	*საბუნებისმეტყველო საგნების სტანდარტის შესაბამისი აქტივობების განხორციელებისათვის და უსაფრთხოების ნორმების დაცვის მიზნით, სასურველია საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში დამონტაჟდეს გამწოვი სისტემა და ნიჟარა წყლის სისტემით.* სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას დაურთო მასალები, რითაც დასტურდება აღნიშნული რეკომენდაციის შესრულება.
	2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	*ექსპერტთა მიერ სკოლას მიეცა რეკომენდაცია ერთ სივრცეში არსებული ბიბლიოთეკა და კომპიუტერული ლაბორატორია განთავსდეს ცალ-ცალკე ოთახებში.* სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას დაურთო მასალები, რითაც დასტურდება აღნიშნული რეკომენდაციის შესრულება.
	2.6 ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	*ექსპერტთა ვიზიტის დროს, დაწესებულებაში განთავსებული იყო 2016 წელს შემუშავებული საევაკუაციო გეგმა. მას შემდეგ შენობაში განხორციელდა სარემონტო სამუშაოები და აღნიშნული გეგმა სრულად არ ასახავდა შენობის საევაკუაციო გასასვლელების განლაგებას.* *ექსპერტთა რჩევით, ვიზიტის პერიოდში სკოლის ადმინისტრაციამ საევაკუაციო გეგმის შემუშავების თვალსაზრისით მომსახურეობის შესყიდვის ხელშეკრულება გააფორმა შპს „დეტექტი"-სთან (ს/ნ 400325046) .* *შპს „დეტექტი"-სთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე შემუშავებული საევაკუაციო გეგმა*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

		განთავსდეს სკოლის შენობაში და გეგმის შესაბამისად განლაგდეს ცეცხლმაქრები. <u>სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას დაურთო მასალები, რითაც დასტურდება აღნიშნული რეკომენდაციის შესრულება.</u>
სტანდარტი	*ადამიანური რესურსი*	-
ქვესტანდარტი		

VII. დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი	

დაწესებულების მისია	შპს არეა სკოლის მისიაა მოამზადოს მოზარდი თაობა თანამედროვე ცხოვრებისათვის, რომელმაც დამოუკიდებლად უნდა დაგეგმოს თავისი მომავალი. აღზარდოს გლობალურად მოაზროვნე ადამიანები, რომლებიც შეძლებენ პოზიტიური ცვლილებების შეტანას მსოფლიო ცხოვრებაში. სკოლის ძირითადი მიზნებია მოსწავლეებს მისცეს მაღალი ხარისხის განათლება, განუვითაროს მათ კრიტიკული აზროვნების, ლოგიკური მსჯელობისა და აკადემიური წერის უნარ-ჩვევები. სკოლის ამოცანებია; გაუღვივოს მოზარდებს მოყვასის სიყვარული და ერთგულება. აღზარდოს ღირსეული, თავისი სამშობლოს პატრიოტი ადამიანი. იზრუნოს არა მარტო ბავშვის განათლებაზე, არამედ ფიზიკურ განვითარებაზე. მოსწავლეებს გაუღვიძოს ურთიერთდახმარების და პატივისცემის ჩვევები. ხელი შეუწყოს განსაკუთრებული საჭიროების მქონე მოსწავლეებს. განუვითაროს მათ ტოლერანტული ღირებულები. მოსწავლეებს ასწავლოს და აჩვენოს, თუ როგორ უნდა გაუწიონ დახმარება სხვა ადამიანებს.

VIII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

წინა ვიზიტის პერიოდში გაცემული რეკომენდაციების აღწერა	წინა მონიტორინგის ვიზიტის პერიოდში 2020 წელს სკოლამ მიიღო რეკომენდაციები. მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტისას, ვიზუალური დათვალიერებით სკოლაში იყო 3 მუშა კომპიუტერი. სკოლას არ აქვს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალური რესურსის პარამეტრების თაობაზე რეკომენდაციების დამტკიცების შესახებ“ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 09 აგვისტოს N672 ბრძანების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით განსაზღვრული კომპიუტერების რაოდენობა. კერძოდ, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 21 დეკემბრის N157 გადაწყვეტილებით, მოსწავლეთა კონტიგენტი სკოლას განესაზღვრა 320 მოსწავლით. მოსწავლეების აღნიშნულ რაოდენობისთვის, ზემოთ ხსენებული ბრძანების მიხედვით 20 მოსწავლეზე განსაზღვრული უნდა იყოს 1 კომპიუტერი. შესაბამისად, სკოლაში უნდა ფიქსირდებოდეს სულ მცირე 16 ინტერნეტით უზრუნველყოფილი მუშა კომპიუტერი. სკოლას გარე პერიმეტრზე (ფეხით მოსიარულეთა სავალი ნაწილი) არ აქვს დამონტაჟებული ვიდეო-კამერები. ვერ უზრუნველყოფს სკოლის გარე პერიმეტრზე, ფეხითმოსიარულეთა სავალი ნაწილზე ვიდეოსამეთვალყურეო კონტროლს „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანების შესაბამისად. რეკომენდაცია: სკოლის ადმინისტრაციამ და შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრების აღრიცხვის ჟურნალის ფორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 22 აგვისტოს N114/ნ ბრძანებით დამტკიცებული ჟურნალების წარმოებას. დაწესებულების 2019-2020 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში არსებული ჩანაწერიდან გამომდინარე, ადმინისტრაციამ სასკოლო სასწავლო გეგმის „შესავალი“ ნაწილის პირველ აბზაცში ასახოს, რომ სასკოლო სასწავლო გეგმა შეესაბამება „ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის N40/ნ ბრძანებას. დაწესებულების ადმინისტრაციამ ინკლუზიური განათლების კონცეფცია და მასთან დაკავშირებული ის დოკუმენტები, რომლებიც შინაარსის მიხედვით საჭიროებს სსსმ მოსწავლის მახასიათებლების განსაზღვრას შესაბამისობაში მოიყვანოს ეროვნული სასწავლო გეგმის 42-ე მუხლის მე-2 პუნქტთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	დაწესებულების ადმინისტრაციამ უზრუნველყოს სასკოლო სასწავლო გეგმის მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების პრინციპის ნაწილის ეროვნული სასწავლო გეგმის 31-ე მუხლის პირველ, მე-2 და მე-3 პუნქტებთან. სასურველია, ცალ-ცალკე ოთახებში იყოს განთავსებული ბიბლიოთეკა და კომპიუტერული ლაბორატორია. სკოლის ბიბლიოთეკარმა უზრუნველყოს საბიბლიოთეკო წესით დაუმუშავებელი აღრიცხული და დამუშავებული წიგნების აღრიცხვა-დამუშავება. ***2022 წლის ავტორიზაციის ვიზიტის პერიოდში, შესრულების სტატუსი დაკმაყოფილებულია.***

IX. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 320	ექსპერტი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტი არ ეთანხმება ☐	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

X. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები:

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს არეა-ში ზოგადი განათლება იყოფა სამ საფეხურად: დაწყებითი, საბაზო და საშუალო. დაწყებითი საფეხური გულისხმობს 1-6 კლასებს, საბაზო 7-9 კლასებს, ხოლო საშუალო 10-12 კლასებს. სკოლამ წარმოადგინა 2022- 2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, სადაც წარმოდგენილია თითოეული საფეხურის ძირითადი ამოცანები. 2022-2023 წლის სკოლის სასწავლო გეგმა მოიცავს შემდეგ ნაწილებს: • სკოლის მისია • სასწავლო წლის კალენდარი • სკოლის მიზნები და ჩასატარებელი აქტივობები • საათობრივი ბადე • სადამრიგებლო პროგრამის კონცეფცია • გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოების ნუსხა კლასების და საგნების მიხედვით. • ინკლუზიური განათლების მექანიზმები და ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის • მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები • მშობლის ინფორმირებისა და ჩართულობის წესი • საგნობრივი კათედრები • გამოცდების ტიპები სკოლის სასწავლო კალენდარი, მათ შორის არდადეგები და ოფიციალური დასვენების დღეები სრულად ითვალისწინებს კანონით დადგენილ ნორმებს. სასწავლო კვირა ხუთდღიანია. I კლასში გაკვეთილების ხანგრძლივობაა 35 წუთი, II კლასში არის 40 წუთი, ხოლო III-XII კლასში 45 წუთი. სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია გაკვეთილების განრიგი ყველა კლასისთვის. სასკოლო-სასწავლო გეგმას თან ერთვის საათობრივი ბადე, რომელიც განსაზღვრავს საგნის/საგნების წლიური ჯამური საათების რაოდენობას. მოიცავს თითოეული კლასის ყოველდღიური გაკვეთილების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	განრიგს, აზუსტებს რა თანმიმდევრობით, კვირის რომელ დღეს რომელი საგანი ისწავლება. სკოლის საათობრივი ბადე მოიცავს ყველა სავალდებულო საგნის სწავლებას, რაც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმით. სასკოლო სასწავლო გეგმაში აღწერილია დისტანციური სწავლების შემთხვევაში გასათვალისწინებელი რეგულაციები და პროცედურები. რაც სრულ თანხვედრაშია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 9 სექტემბერის №95/ნ ბრძანებით ,,საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის დისტანციურად წარმართვისა და მიღებული შედეგების შეფასების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ წარმოდგენილ სარეკომენდაციო მონაცემებთან (გაკვეთილების ხანგრძლივობა და ოდენობა). სკოლაში ფუნქციონირების 6 საგნობრივი კათედრა: • ქართული ენისა და ლიტერატურის; • მათემატიკის და ისტ-ის; • საბუნებისმეტყველო მეცნიერებების; • უცხოური ენების; • საზოგადოებრივი მეცნიერებების; • ესთეტიკური აღზრდისა და სპორტის; ეს კათედრები აერთიანებს საგნობრივ ჯგუფებში შემავალ ყველა მასწავლებელს. წარმოდგენილია კათედრების ხელმძღვანელის ფუნქციები და კათედრის მუშაობის მახასიათებლები. ასევე შემაჯამებელი დავალებების მინიმალური რაოდენობა კლასების მიხედვით. მასწავლებელთა პორტფოლიოების შესწავლის დროს დადასტურდა, რომ მათ განსაზღვრული აქვთ შესასწავლი საკითხები და სწავლების სტრატეგიები, შემუშავებული აქვთ გეგმები და შეფასების რუბრიკები. სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და მიზნებიდან, ემსახურება სკოლაში მისიით განსაზღვრული ფასეულობების დამკვიდრებას და შესაძლებელი იქნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად სასწავლო პროცესის წარმართვა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს არეა სკოლის დირექტორის ბრძანებით (N63 07.092022წ) დამტკიცებული სასკოლო სასწავლო გეგმა; • შპს არეას პედაგოგიური საბჭოს ოქმი (N1 07.09.2022); • ადმინისტრაციის წევრებთან გასაუბრება;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს არეა-ში სწავლა/სწავლების პროცესი მიმდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმის მეთოდოლოგიის შესაბამისად. სკოლის მიერ წარმოდგენილი საათობრივი ბადის მიხედვით სამივე საფეხურის კლასებში ისწავლება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული ყველა საგანი. რამოდენიმე კლასში ჩარიცხულია 30-32 მოსწავლე. ე.ს გ -ის შესაბამისად, კლასში მოსწავლეთა რაოდენობა განისაზღვრება 25 მოსწავლით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებით მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობა შესაძლებელია იყოს 29. აქედან გამომდინარე, კლასში მოსწავლეთა რაოდენობა სასურველია შეესაბამებოდეს ე.ს. გ განსაზღვრულ ნორმებს. მასწავლებლებს შემუშავებული აქვთ თემატური გეგმები, შეფასების რუბრიკები. კათედრებს ხელმძღვანელობენ კათედრის თავმჯდომარეები, რომელთა არჩევაც ხდება ერთი წლის ვადით. კათედრების პორტფოლიოებში წარმოდგენილია კათედრის სამუშაო გეგმა, ჟურნალები სამუშაო აღწერილობით, ოქმები, მოსწავლის შეფასების რუბრიკები, პედაგოგთა მუშაობაზე დაკვირვების სქემები, მოსწავლის აკადმიური მიღწევების წესები, შემაჯამებელი დავალებების სემესტრული ანალიზი, კათედრის თავმჯდომარის მიერ კათედრის წევრებზე დაკვირვების და შეფასების ფორმები. კათედრები იკრიბებიან სემესტრში მინიმუმ ორჯერ, სხდომებზე განიხილავენ ურთიერთდასწრების შედეგებს, მოსწავლეთა მიღწევებს, შემაჯამებელი დავალებებს და ერთობლივად განსახორციელებელი ღონისძიებებს. სამუშაო შეხვედრების ოქმები ინახება კათედრების პორტფოლიოში. შერჩევითი წესით შემოწმდა რამდენიმე პედაგოგის სხვადასხვა კლასის შემაჯამებელი დავალება და მათი ანალიზი, საიდანაც გამოჩნდა, რომ შემაჯამებელი დავალებები და მათი ანალიზი არის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი. არის კონკრეტული, იძლევა მიზანმიმართული განმავითარებელი შეფასების საშუალებას. მოცემული დოკუმენტებით დასტურდება, რომ სკოლაში დაწყებულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესი. სემესტრის ბოლოს შემაჯამებელი შეფასებების საფუძველზე, კათედრის თავმჯდომარეები ამზადებენ საერთო ანალიზს, რის საფუძველზეც ადგენენ ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებს და მათი გაუმჯობესების გზებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	კათედრების თავმჯდომარეების ანგარიშები ეყრდნობა როგორც სტატისტიკურ ანალიზს, ასევე განმავითარებელ კომენტარებს. სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ უცხოური ენებიდან სკოლამ მოსწავლეებს შესთავაზა გერმანული და რუსული ენები , მაგრამ ყველა მოსწავლემ აირჩია რუსული ენა. სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით სპორტის სახეობად სკოლას არჩეული აქვს ფეხბურთი და ფრენბურთი. სასწავლო სასკოლო გეგმაში განსაზღვრულია: სადამრიგებლო პროგრამა, დამრიგებლის ფუნქცია-მოვალეობები და პრინციპები, დამრიგებლის მუშაობის მიზანი, რეკომენდაციები, ,,სადამრიგებლო საათის'' განხორციელებისათვის. თემები მიმართულებების მიხედვით. დამრიგებლებს აქვთ პორტფოლიოები, სადაც მათ მიერ განხორციელებული აქტივობებია, სადამრიგებლო საათის ამსახველი მასაალები, მშობელთა შეხვედრის ოქმები და ანგარიშები, მოსწავლეთა ნამუშევრები. სასკოლო-სასწავლო გეგმით შესაძლებელი იქნება მოსწავლეებმა შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს არეა პედაგოგიური საბჭოს 07.09.2022 წლის ოქმი N1; • შპს არეას სკოლის დირექტორის ბრძანება N63 07.09.2022წ; • სკოლის 2022-2023 სასკოლო სასწავლო გეგმა • დამრიგებლების პორტფოლიოები; • დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხურის თემატური გეგმები; • ადმინისტრაციის წევრებთან, მასწავლებლებთან და მოსწავლეებთან გასაუბრება;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	მასწავლებლების პორტფოლიოებიდან, ასევე მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან და მშობლებთან ჩატარებული გასაუბრების შედეგად, გამოვლინდა, რომ მასწავლებლები იყენებენ სწავლების მრავალფეროვან მეთოდებს სწავლების პროცესში, სხვადასხვა უნარებისა და შესაძლებლობების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მოსწავლეთა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. სკოლის თემატური სასწავლო გეგმების მეთოდიკის, შეფასების კომპონენტების ნაწილში იკვეთება, რომ სკოლა ხელმძღვანელობს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებით. პანდემიასთან დაკავშირებულმა რეგულაციებმა შეაფერხა შემეცნებითი თუ საგანმანათლენლო პროექტების აქტიური განხორციელება, მაგრამ მას შემდეგ, რაც აღდგა პირისპირ სწავლების პროცესი, განახორციელეს შემდეგი საგანმანათლებლო აქტივობები: ,,აი ია'' - ოქროს გასაღები დედაენაში, ,,გვიყვარს, არ ვიცი რად გვიყვარს ასე ეს შემოდგომა'', ტოლერანტობის საერთაშორისო დღე, ,,გალაქტიონის კვირეული'', ,,საშობაო ზღაპარი'' და ,,მშვიდობა მსოფლიოს''. გასაუბრებისას მოსწავლეები აღნიშნავდნენ, რომ სკოლაში არიან რეალიზებულნი, რომ მასწავლებლები სთავაზობენ მათ საინტერესო და სახალისო აქტივობებს. ეს ხელს უწყობს სასწავლო პროცესში ნებისმიერი მოსწავლის აქტიურ ჩართულობას. ასევე სკოლას შემუშავებული აქვს ინკლუზიური სწავლების კონცეფცია და ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებისთვის. ინკლუზიური განათლების წარმოდგენილი რეგულაციები მოიცავს ისეთ მნიშვმნელოვან საკითხებს, როგორიცაა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება, ისგ-ს ჯგუფის შექმნა, სსსმ აკადემიური მიღწევების შეფასება. რეგულაციები მოსწავლის შინ სწავლების შესახებ. ამჟამად სკოლაში არ ირიცხება სსსმ მოსწავლე. ჩატარებული გასაუბრებებისა და შესწავლილი დოკუმენტაციის საფუძველზე, სასკოლო-სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს მოსწავლეს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს არეა პედაგოგიური საბჭოს 07.09.2022 წლის ოქმი N1; • სკოლის 2022-2023 სასკოლო სასწავლო გეგმა • თემატური გეგმები/კურიკულუმები • კლასის დამრიგებლების ანგარიშები; • მასწავლებლებთან, მშობლებთან, მოსწავლეებთან გასაუბრება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების გათვალისწინებით სკოლაში შემუშავებულია მოსწავლეთა შეფასების სისტემა, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებას, სწავლის ხარისხის, შედეგის გაუმჯობესებას. შესაბამისობაშია ე.ს.გ.-თან. სკოლის შეფასების სისტემა მოიცავს აკადემიური მიღწევის დონეებს,მოცემულია შეფასების რუბრიკები საგნების მიხედვით. შეფასების სქემები შემუშავებულია მასწავლებელთა საგნობრივ კათედრებზე. სასკოლო-სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია შეფასების მიზნები, პრინციპები და ამოცანები. სკოლა იყენებს განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებას. განმავითარებელი შეფასების მიზანია სწავლის ხარისხის გაუმჯობესება, ხოლო განმსაზღვრელის - მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონის დადგენა საგნობრივ სტანდარტთან მიმართებაში. მოსწავლეთა აკადემიური მიღწევები ფასდება 10 ქულიანი სისტემით, ყველაზე დაბალი ქულა არის 1, ხოლო ყველაზე მაღალი 10. ესგ-ს სტანდარტის შედეგების მიღწევა ფასდება შემაჯამებელი დავალებებით. მოცემულია შემაჯამებელი დავალებების მინიმალური რაოდენობა თითოეულ საგანში და კლასში; შემაჯამებელი დავალებების კომპონენტში სავალდებულოა კომპლექსური დავალების გამოყენება (მაგ: რეფერატის დაწერა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშის შექმნა, პროექტის მომზადება, კვლევის ჩატარება, ესეს დაწერა, კონკრეტული პრობლემის გადაჭრა და სხვა). გაცდენილი შემაჯამებელი დავალებების აღდგენის ვადები. თითოეულ შემაჯამებელ დავალებას ახლავს შეფასების კრიტერიუმები. ამ დავალებების ანალიზი ხდება სპეციალური ფორმებით, შემაჯამებელი სამუშაოების ანალიზის ფორმების დამტკიცება მოხდა პედსაბჭოზე. მასწავლებელთა პორტფოლიოებში წარმოდგენილია კლასში ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა, ვადები და ამსახველი დოკუმენტაცია. საგნის სტანდარტის ის შედეგი, რომლის შეფასებასაც ემსახურება კონკრეტული შემაჯამებელი დავალება. მოსწავლეებთან და მშობლებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ ისინი მასწავლებლებისგან იღებენ წერილობით და სიტყვიერ უკუკავშირს. სკოლაში ტარდება შემდეგი გამოცდები: • სემესტრული გამოცდა; • საშემოდგომო გამოცდა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• ექსტერნატის გამოცდა’ შპს არეა-ში 2022-2023 სასწავლო წელს წლიური გამოცდები არ ტარდება. სკოლაში შეფასების მიზანია სწავლა/სწავლების ხარისხის მართვა, რაც გულისხმობს ერთი მხრივ სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვას და მეორე მხრივ სწავლა/სწავლების ხარისხის მონიტორინგს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• 2022-2023 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა; • თემატური გეგმები/კურიკულუმები; • შემაჯამებელი სამუშაოს ანლიზის ფორმები; • კათედრების პორტფოლიოები; • მასწავლებელთა პორტფოლიოები; • მშობლებთან, მასწავლებლებთან და მოსწავლეებთან გასაუბრება;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლა არეას შემუშავებული აქვს მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირებისა და მშობელთან კომუნიკაციის შესახებ დებულება, დებულების მიზანია მშობლებსა და მასწავლებლებს შორის კომუნიკაციის ხელშეწყობა, მშობელთა დროული ინფორმირება, სკოლის მიზნების და დაგეგმილი ღონისძიებების, შეფასების, მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ. ასევე სადაც დოკუმენტით განისაზღვრება მშობლების ჩართულობა სასწავლო პროცესში. მშობლების მხრიდან სკოლის მხარდაჭერის ხელშეწყობა. მშობლის ინფორმირების წესი განთავსებულია სადამრიგებლო პროგრამაში და მისი კონტროლი არის დამრიგებლის მოვალეობა. სასწავლო წლის დასაწყისშივე სკოლა მშობელს აცნობს სასკოლო დოკუმენტაციას, რომელიც შეიცავს მშობლისთვის საჭირო და სავალდებულო ინფორმაციას: სკოლის შინაგანაწესს და სასწავლო გეგმის შესაბამის საკითხებს, მოსწავლეთა შეფასების პრინციპებს, სახელმძღვანელოების ნუსხას, ასევე, აწვდიან ინფორმაციას ღონისძიებების შესახებ ,რომელთა განხორციელებას გეგმავს სკოლა. სკოლა მშობელთან საკომუნიკაციოდ იყენებს ელექტრონულ ჟურნალს edupage. ასევე სკოლის ვებ-გვერდით **www.skolaarea.edu.ge** და Facebook გვერდით ,,სკოლა არეა ”. სკოლა ითვალისწინებს მშობელთა აქტიურ ჩართვას სასკოლო ცხოვრებაში და ყველა მნიშვმნელოვანი საკითხის გადაჭრას ახორციელებს მათთან ერთად. სკოლაში აკადემიური მოსწრების და მოსწავლის შესახებ ინფორმაციის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	გაცნობა ხდება კონფიდენციალურად. მშობელს შესაძლებლობა ეძლევა სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის. გარდა ამისა, იმართება დამრიგებლისა და უშუალოდ საგნის პედაგოგების შეხვედრები მშობლებთან სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე. მშობლები გასაუბრებისას აღნიშნავდნენ, რომ ისინი ჩართულნი არიან სასკოლო ცხოვრებაში და სკოლას ინტენსიური კომუნიკაცია აქვს მათთან მოსწავლის მიღწევის, საჭიროებისა და სირთულეების დაძლევის თაობაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს არეა-ს მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირებისა და მშობელთან კომუნიკაციის შესახებ დებულება (დამტკიცებული სკოლის დირექტორის 2021 წლის 07,09 N57 ბრძანებით); • სკოლის შინაგანაწესი; • მშობლებთან გასაუბრება;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას აქვს სასკოლო-სასწავლო გეგმის განხორციელების და გაუმჯობესების მექანიზმები. კათედრების ხელმძღვანელები მასწავლებლებთან ერთად განიხილავენ შემაჯამებელი დავალებების ანალიზს, ესწრებიან გაკვეთილებს, მოსწავლეების და მშობლების მიერ შევსებული კითხვარების საფუძველზე, გეგმავენ სწავლა/სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებელ ნაბიჯებს. სკოლის სასწავლო გეგმის შეფასება ხდება კეთედრების მიერ შემდეგი აქტივობებით: გაკვეთილებზე დასწრება-ანალიზი, შემაჯამებელი დავალებების ანალიზი, მოსწავლეთა შეფასებების ანალიზი, გამოკითხვის შედეგების ანალიზი. აქვთ სამოქმედო გეგმა და შესრულებული აქტივობების ანგარიშები. სკოლას დადგენილი აქვს სასწავლო პროცესის შეფასების ინსტრუმენტები, სკოლაში ტარდება მოსწავლეთა, მშობელთა მოსაზრებების კვლევა. გამოიყენება გამჭვირვალე შეფასების სისტემა. შეფასების საშუალებით განისაზღვრება მოსწავლეთა შედეგი ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სტანდარტების მიხედვით. ასევე შემუშავებულია სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია. წარმოდგენილია კათედრის ხელმძღვანელების მასწავლებლების და დამრიგებლების სემესტრულ/წლიური ანგარიშები, სასწავლო პროცესის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	შესახებ. სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდებიდან გამოყენებულია SWOT ანალიზი. სკოლის დირექტორის მოადგილე ახდენს სასწავლო პროცესის მონიტორინგს. ესწრება: საგაკვეთილო პროცესს და აკვირდება წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმების მიხედვით. დაკვირვების შედეგები განიხილება პედაგოგთან პირისპირ გასაუბრებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სასკოლო/სასწავლო გეგმის გაუმჯობესების მექანიზმები ; • სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია დირექტორის 2021 წლის 7 სექტემბრის N 57 ბრძანება; • ხარისხის ჯგუფის მიერ გაკვეთილზე დასწრების ანგარიში; • სასწავლო პროცესის შეფასების ინსტრუმენტები; • დირექციასთან, კათედრის ხელმძღვანელებთან, მასწავლებლებთან და მოსწავლეებთან გასაუბრება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	-
რჩევები:	
ხარვეზები:	-
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ სტანდარტი დარღვეულია

2. მატერიალური რესურსი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	
დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს არეა (ს/ნ 244555539) ფუნქციონირებს მისამართზე: ქალაქი ხობი სპორტის ქ. N 5. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ამონაწერის თანახმად, სკოლას გააჩნია საკუთარი შენობა. აქვს უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი. შპს არეა-ს საკუთრებაშია ერთსართულიანი შენობა (1977,2 კვ.მ) განთავსებული (8803 კვ.მ.) მიწაზე.
ფაქტობრივი მისამართი	ქალაქი ხობი სპორტის ქ. N5
მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი	N 45.21.25.077
კვ.მ.	8803 კვ.მ. მიწა. შენობა- ნაგებობის 1977,2კვ.მ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები	• ვიზუალური დათვალიერება. • შენობის საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა • ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N45,21,25,077;
შეფასება	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის შენობა ერთსართულიანია, ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში შენობაზე მიმდინარეობდა მეორე სართულის დაშენება. ადმინისტრაციის განცხადებით, სარემონტო სამუშაოები ტარდება არასასწავლო პროცესის დროს. სკოლაში არის 14 საკლასო ოთახი, რომლებიც აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით: ხისა და მაგნიტური დაფებით, მოსწავლის ასაკის შესაბამისი ინდივიდუალური მერხებით და სკამებით(320), მასწავლებლის მაგიდებით და სკამებით, სასწავლო პროცესის დამხმარე თვალსაჩინოებებით, პლაკატებით, ქიმიური ტაბულებით და სხვა მატერიალური საშუალებებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ექსპერტთა ვიზიტისას, წვიმის დროს დაფიქსირდა, რომ სკოლის შენობის გარკვეულ ნაწილში ჩამოდის წყალი და აზიანებს საკლასო ოთახებს. ერთი საკლასო ოთახი ამჟამად არ გამოიყენება, რადგან დაზიანებულია წვიმისგან. ერთ მეთერთმეტე კლასს არ აქვს საკლასო ოთახი და მათთვის სასწავლო პროცესი მიმდინარობდა სკოლის დერეფანში. შპს არეა-ს მიეცა რეკომენდაცია, რომ დაუყოვნებლივ აღმოფხვრას აღნიშნული პრობლემა და შეაკეთოს შენობის სახურავი. აღნიშნულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით არგუმეტირებული პოზიციით შპს არეამ წარმოადგინა, რომ ექსპერტთა ვიზიტამდე რამდენიმე დღით ადრე ხობის მუნიციპალიტეტში დაფიქსირდა სტიქია და უამინდობის გამო ვერ მოესწრო სკოლის შენობის გადახურვის სამუშაოები. ვიზიტის შემდგომ განხორციელდა სკოლის პირველ სართულზე მეორე სართულის დაშენება და შენობის გადახურვის სამუშაოები(700 მ2). ასევე განხორციელდა დაზიანებული საკლასო ოთახების შეკეთება და როგორც სკოლის მიერ წარმოდგენილ წერილშია აღწერილი სკოლა სასწავლო პროცესის განხორციელებისათვის იყენებს ყველა საკლასო ოთახს, მათ შორის მეთერთმეტე კლასელებს აქვთ მათთვის განკუთვნილი საკლასო ოთახი,რასაც ადასტურებს სკოლის მიერ წარმოდგენილი ფოტომასალა. (იხ. დანართი 2)
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერებით; • შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტებით; • სკოლის მიერ წარმოდგენილი ფოტომასალა (დანართი 2);
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის სპორტული დარბაზი არ შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს .კერძოდ დარბაზში არ არის იატაკი, არ აქვს ფანჯრები, არ არის დამონტაჟებული გათბობის სისტემა. ***ექსპერტთა ვიზიტის დროს სპორტულ დარბაზი გამოიყენებოდა სამშენებლო მასალის საწყობად. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დარბაზში შეუძლებელია სპორტის გაკვეთილების ჩატარება.*** სკოლის ეზოში არის ღია სპორტული მოედანი, რომელიც აღჭურვილია კალათბურთის ფარებით, ფრენბურთის ბადით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	შპს არეა-მ ვიზიტის პერიოდში მიმართა სსიპ ქალაქ ხობის N1 საჯარო სკოლას თხოვნით, იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე, ისარგებლოს მათი სპორტული დარბაზით სპორტისა და ფიზიკური აღზრდის გაკვეთილების ჩასატარებლად. აღნიშნულ გარემოებასთან დაკავშირებით სკოლა არეამ არგუმენტირებული პოზიციით წარმოადგინა, რომ ექსპერტთა მიერ მიღებული მითითებების შემდგომ სპორტული დარბაზი დაიცალა სამშენებლო მასალისგან, გამოიცვალა დაზიანებული ფანჯრები, დამონტაჟდა გათბობის სისტემა და დაიგო ვინილის იატაკი. ამჟამად სკოლის დარბაზი სრულად შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, რასაც ადასტურებს სკოლის მიერ წარმოდგენილი ფოტომასალა (იხ. დანართი 2).
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • სპორტული ინვენტარის შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; • შპს არეა-ს 22.10.2022 წლის N 105 წერილი სსიპ ქალაქ ხობის N 1 საჯარო სკოლას; • სკოლის მიერ წარმოდგენილი ფოტომასალა (დანართი 2);
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში საბუნებისმეტყველო ლაბორატორია განთავსებული იყო მცირე ზომის ოთახში, სადაც შეუძლებელი იყო სრულფასოვანი სასწავლო პროცესის წარმართვა. ვიზიტის დროს ექსპერტთა რჩევით, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია სკოლის ადმინისტრაციამ გადაიტანა სხვა საკლასო ოთახში, რომელსაც აქვს ბუნებრივი განათება, კარადებში განათავსა კოლბები, მიკროსკოპები, ცილინდრები, მულაჟები და სხვა რესურსი, რომლის დახმარებითაც მოსწავლეებს შეუძლიათ პრაქტიკული მუშაობა, კვლევის ჩატარება, მისი შედეგების აღრიცხვა, გაანალიზება და სათანადო დასკვნის გამოტანა. ***საბუნებისმეტყველო საგნების სტანდარტის შესაბამისი აქტივობების განხორციელებისათვის და უსაფრთხოების ნორმების დაცვის მიზნით სასურველია ლაბორატორიაში დამონტაჟდეს გამწოვი სისტემა და ნიჟარა წყლის სისტემით.*** აღნიშნულ გარემოებასთან დაკავშირებით სკოლა არეამ არგუმენტირებული პოზიციით წარმოადგინა, რომ საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში დამონტაჟდა გამწოვი სისტემა და ნიჟარა წყლის სისტემით, რასაც ადასტურებს სკოლის წერილი და ფოტომასალა (იხ. დანართი 2).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სასკოლო ლაბორატორიის მუშაობის დებულება და მექანიზმები (დამტკიცებული სკოლის დირექტორის 2022 წლის 07 სექტემბრის ბრძანება N63); • ვიზუალური დათვალიერება; • ლაბორატორიის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; • სკოლის მიერ წარმოდგენილი ფოტომასალა (დანართი 2);
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას მიეწოდება ელექროენერგია, წყალი და ბუნებრივი აირი. საგანმანათლებლო მიზნებისთვის გამოყოფილ ყველა ოთახს აქვს ბუნებრივი განათების შესაძლებლობა. წვიმის დროს ზოგიერთ საკლასო ოთახში ჩამოდის წყალი. სკოლაში არის ცენტრალური გათბობა, პირველ სართულზე განთავსებულია სველი წერტილები, ცალკე გოგონებისთვის, ვაჟებისთვის, სსსმ მოსწავლეებისთვის. სველი წერტილები უზრუნველყოფილია წყლით, ერთჯერადი ხელსახოცებით და ყველა საჭირო სადეზინფექციო საშუალებით. სკოლას აქვს არტეზიური ჭა, რომელიც უზრუნველყოფს სკოლას სასმელი წყლით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • კომუნალური გადახდების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, რომელიც მდებარეობს შენობის პირველ სართულზე არსებულ ოთახში, სადაც აგრეთვე განთავსებულია კომპიუტერული ლაბორატორია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	დამტკიცებულია სკოლის ბიბლიოთეკის დებულება (სკოლის დირექტორის ბრძანების N63 07.09.2022წ), რომელიც თვალსაჩინო ადგილასაა განთავსებული. დებულების თანახმად, გაწერილია ბიბლიოთეკის მიზანი, ამოცანა და ფუნქციები, ბიბლიოთეკარის მოვალეობები, მკითხველის უფლებები და ა.შ. სკოლის ბიბლიოთეკაში არის როგორც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, ასევე სამეცნიერო, მხატვრული და მეთოდური ლიტერატურა, ილუსტრირებული მასალები, ინგლისურენოვანი ლიტერატურა. წიგნადი ფონდი სულ შეადგენს - 2453, სასკოლო სახელმძღვანელოები - 143. წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. სკოლას არ აქვს გამოწერილი პერიოდული გამოცემები.ბიბლიოთეკაში მოწყობილია სამკითხველო დარბაზი. ბიბლიოთეკარი აწარმოებს ელექტრონულ კატალოგს, სარეგისტრაციო ჟურნალს. მასთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება. ***ექსპერტთა მიერ სკოლას მიეცა რჩევა პერიოდული გამოცემების გამოწერასთან დაკავშირებით. ასევე უზრუნველყოს ბიბლიოთეკის ცალკე სივრცეში განთავსება.*** <u>აღნიშნულ გარემოებასთან დაკავშირებით სკოლა არეამ არგუმენტირებული პოზიციით წარმოადგინა, რომ ექსპერტთა რეკომენდაციის გათვალისწინებით ბიბლიოთეკა და კომპიუტერული ლაბორატორია განთავსდა ცალ-ცალკე ოთახებში, რასაც ადასტურებს სკოლის წერილი და ფოტომასალა (იხ. დანართი 2).</u>
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• „ბიბლიოთეკის დებულება“(დამტკიცებული დირექტორის 2022წლის 07.09 N63 ბრძანებით. • ვიზუალური დათვალიერებით; • ხელშეკრულება ბიბლიოთეკართან; • წიგნების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; • სკოლის მიერ წარმოდგენილი ფოტომასალა (დანართი 2);
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერ.ითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის. სკოლის შემოსასვლელში დამონტაჟებულია პანდუსი. ასევე , არის ადაპტირებული სველი წერტილები გოგონებისა და ვაჟებისთვის. სკოლას შემუშავებული აქვს ინკლუზიური განათლების მექანიზმები - სკოლის ინკლუზიური განათლების კონცეფცია. მიუხედავად იმისა, რომ სკოლას არ ჰყავს სსსმ მოსწავლე, მზადაა უზრუნველყოს ამგვარი მოსწავლე ადაპტირებული გარემოთი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებიდან აქვს: • სკოლის ვებ-გვერდი www.skolaarea.edu.ge • ელექტრონული ფოსტა skola.area@gmail.com • ელექტორნული ჟურნალი ,,Edupage'' • ინტერნეტ-ქსელში ჩართული 21 კომპიუტერი • 20 ნოუთბუკი • 2 პრინტერი • 2 ქსეროქსის აპარატი სკოლის მთელი პერიმეტრი არის უკაბელო ინტერნეტის (WI_FI) დაფარვით. სკოლას ინტერნეტის მიწოდებასთან ხელშეკრულება გაფორმებული აქვს კომპანია შპს ,,SKYTel''. ***რეკომენდაცია: კომპიუტერული ლაბორატორია და ბიბლიოთეკა განთავსებულია ერთ ოთახში. სკოლამ უნდა უზრუნველყოს მათი ცალ-ცალკე ოთახებში განთავსება.***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	აღნიშნულ გარემოებასთან დაკავშირებით სკოლა არეამ არგუმენტირებული პოზიციით წარმოადგინა, რომ ექსპერტთა რეკომენდაციის გათვალისწინებით ბიბლიოთეკა და კომპიუტერული ლაბორატორია განთავსდა ცალ-ცალკე ოთახებში, რასაც ადასტურებს სკოლის წერილი და ფოტომასალა (იხ. დანართი 2).
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვებ-გვერდის და სოციალური ქსელის ვიზუალური დათვალიერება; • კომპიუტერების შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტები; • საგადასახადო დავალებების ქვითრები; • სკოლის მიერ წარმოდგენილი ფოტომასალა (დანართი 2);
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	
ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის შენობაში განთავსებული იყო ცეცხლმაქრები, რომლებიც არ იყო დამუხტული. ადმინისტრაციამ ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში მოახდინა ცეცხლმაქრების დამუხტვა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • სასაქონლო ზედნადები - ცეცხლმაქრების დამუხტვაზე.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ექსპერტთა ვიზიტის დროს დაწესებულების ტერიტორიაზე განთავსებული იყო 2016 წელს შემუშავებული საევაკუაციო გეგმა. მას შემდეგ შენობაში განხორციელდა სარემონტო სამუშაოები და აღნიშნული გეგმა სრულად არ ასახავდა შენობის საევაკუაციო გასასვლელების განლაგებას. ***ექსპერტთა რჩევით, ვიზიტის პერიოდში სკოლის ადმინისტრაციამ მომსახურეობის შესყიდვის ხელშეკრულება გაფორმა შპს „დეტექტი"-სთან (ს/ნ 400325046) საევაკუაციო გეგმის შემუშავებასთან დაკავშირებით.*** ***შპს „დეტექტი"-სთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე შემუშავებული საევაკუაციო გეგმა განთავსდეს სკოლის შენობაში და გეგმის შესაბამისად განლაგდეს ცეცხმაქრები.***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	<u>აღნიშნულ გარემოებასთან დაკავშირებით სკოლა არეამ არგუმენტირებული პოზიციით წარმოადგინა, რომ შპს ,,დეტექტი''-სთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე დამზადდა სავეკუაციო გეგმა, რომელიც შეესაბამება სტანდარტებს და განთავსდა სკოლის შენობაში, ასევე გეგმის შესაბამისად განთავსდა დამუხტული ცეცხლმაქრები, რასაც ადასტურებს სკოლის წერილი და ფოტომასალა (იხ. დანართი 2).</u>
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • მომსახურეობის შესყიდვის ხელშეკრულება N 03-90 20.10.2022; • სკოლის მიერ წარმოდგენილი ფოტომასალა (დანართი 2);
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას სამედიცინო კაბინეტი მდებარეობდა კომპიუტერული ლაბორატორიის და ბიბლიოთეკის ოთახიდან გამავალ მცირე ზომის ბუნებრივი განათების გარეშე არსებულ ოთახში. ექსპერტთა რჩევით სკოლის ადმინისტრაციამ სამედიცინო კაბინეტი გადაიტანა ოთახში, რომელსაც აქვს ბუნებრივი განათება და დამონტაჟებულია ნიჟარა წყლის სისტემით. სამედიცინო კაბინეტი აღჭურვილია ყველა იმ საჭირო ინვენტარით და მედიკამენტით, რაც გათვალისწინებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება N41/ნ/01-23/ნ. შესაბამისად. სამედიცინო კაბინეტში არის გადაუდებელი სამედიცინო დახმარებისათვის საჭირო ფარმაცევტული საშუალებები, სამუშაო მაგიდა, კარადა, მაცივარი. სკოლაში შემუშავებულია სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები, დამტკიცებული დირექტორის ბრძანება N57 07.09.2021წ. საფუძველზე. საშტატო განრიგის შესაბამისად, სკოლას შრომითი ხელშეკრულება გაფორმებული აქვს ექთანთან. ის აწარმოებს სამედიცინო მომსახურების აღრიცხვას, მას ევალება მოსწავლეებისთვის არა მარტო პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა, არამედ მათი ჯანმრთელობის მონიტორინგის გაწევა. აღსანიშნავია, რომ ამავე ბრძანების შესაბამისად, სკოლას უნდა ჰყავდეს ექიმი. ***<u>ექსპერტთა რეკომენდაციით ვიზიტის მიმდინარეობისას სკოლამ გამოაცხადა კონკურსი ექიმის პოზიციაზე.</u>***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები; • კონკურსის გამოცხადების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას დირექტორის N 76 12.10.2021წ, ბრძანების შესაბამისად, შემუშავებული აქვს საგანგებო სიტუაციების და სამოქალაქო თადაცვის ღონისძიებები. დოკუმენტში გაწერილია უსაფრხოების და საგანგებო შტაბის შემადგენლობა, სამედიცინო დახმარების აღმოჩენის,წესრიგის დაცვისა და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით განსახორციელებელი პრევენციული ღონისძიებები. სკოლას ჰყავს დარაჯი. სასწავლო პროცესის დროს მოსწავლეების უსაფრთხოებაზე ზრუნვა ევალებათ მორიგე მასწავლებლებსა და დამრიგებლებს. გამოყოფილია პასუხისმგებელი მორიგე, რომელსაც ევალება ზედამხედველობა. მორიგე მასწავლებლის მიერ კონტროლდება სკოლის ეზოდან მოსწავლეების გასვლის და უცხო პირების შემოსვლის შემთხვევები. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 13.10.2022 წლის N MES7220001293913 წერილის საფუძველზე, სკოლა არეა-მ ,,უსაფრთხოებისა და საზოგადოების წესრიგის დაცვის პირობების პროექტთან'' დაკავშირებით მიიღო შენიშვნები, კერძოდ, დოკუმენტს დაემატოს სახალხო დამცველის ცხელი ხაზის ნომერი,წარდგენილ პროექტს დაემატოს შემდეგი განმარტება- უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერება ხორციელდება მეტალოდეტექტორის გამოყენებით და ა. შ. სკოლამ გაითვალისწინა აღნიშნული შენიშვნები და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარუდგინა აღნიშნული დოკუმენტის კორექტირებული პროექტი შესათანხმებლად(წერილი N MES7220001299854 17.10.2022წ)
წესრიგის დაცვის მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• უსაფრთხოების და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობების პროექტი. • განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 13.10.2022 წლის N MES7220001293913 წერილი; • სკოლის წერილი წერილი N MES7220001299854 17.10.2022წ;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში წესრიგის დაცვა კონტროლდება დამონტაჟებული კამერებით, რომლებიც ჩართულია 24 საათი. დაწესებულებაში სულ დამონტაჟებულია - 12 ვიდეოკამერა. ,,აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეო მეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟების - ექსპლუატაციის წესის დამტკიცების შესახებ'' საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007წლის 29 აგვისტოს #1143 ბრძანების შესაბამისად, ვიზიტის პერიოდში სკოლის ეზოს ნაწილი, რომლიც არ იყო ხილვადი, დამონტაჟდა 1 სამეთვალყურეო კამერა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • კამერების შესყიდვის ზედნადებები;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლა საქმიანობის დაგეგმვასა და წარმართვას ახორციელებს სკოლის წესდებისა და შინაგანაწესის შესაბამისად. სკოლის შინაგანაწესი დამტკიცებულია დირექტორის 2021 წლის 7 სექტემბრის N57 ბრძანებით. შინაგანაწესით განსაზღვრულია სკოლის სტრუქტურული ერთეულები და მათი ფუნქციები. მოსწავლეთა და თანამშრომელთა ქცევის/ეთიკის ნორმები. მასწავლებელთა , მოსწავლეთა და მშობელთა უფლება-მოვალეობები, თანამშრომელთა სამუშაო დრო, მოსწავლის პირადი საქმის წარმოება, შრომის დისციპლინა, თანამშრომელთა სამსახურში მიღებისა და გათავისუფლების წესი. შინაგანაწესის 18 მუხლში გაწერილია წახალისების სახეები; მადლობის გამოცხადება, პრემიის გაცემა, მაგრამ <u>არ არის გაწერილი რა შემთხვევაში</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	<u>მიიღებს სკოლის თანამშრომელი წახალისებას. ვიზიტის დროს სკოლამ შეიტანა ცვლილება და შინაგანაწესში ასევე გაიწერა კონკრეტულ გადაცდომაზე კონკრეტული სახდელები და ასევე რა შეიძლება ჩაითვალოს დისპლინურ გადაცდომის სიმძიმედ ან/და ხარისხად.</u>
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს არეა წესდება; • შპს არეა შინაგანაწესი; • სკოლის სტრუქტურული დებულების ერთეულები;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული განვითარების ექვსწლიანი გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის N57 ბრძანებით(07..09.2021წ), რომელიც გამომდინარეს სკოლის მისიიდან. სკოლის ექვსწლიანი სტრატეგიული გეგმის ძირითადი სტრატეგიული მიმართულებებია - პოზიტიური სასწავლო გარემო, კვალიფიციური და გამოცდილი ადამიანური რესურსი, სწავლების თანამედროვე მეთოდები, ინკლუზიური განათლება. აღწერილია განსახორციელებელი ამოცანები და განხორციელების გზები. გეგმის მიზანია სკოლის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, მიმდინარე სარემონტო სამუშაოების განხორციელება, ტექნოლოგიური ბაზის გაუმჯობესება, სპორტული დარბაზის რეაბილიტაცია, სასწავლო რესურსებისა და საბიბლიოთეკო წიგნადი ფონდის შეძენა, სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება, უსაფრთხო, ჯანსაღი და ორგანიზებული გარემოს შექმნა. სადამრიგებლო პროგრამების ხელშეწყობა, საგნობრივი კათედრების ფუნქციონირების ხელშეწყობა, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, სასწავლო პროცესის მონიტორინგის მექანიზმების დანერგვა და მოსწავლეთა მიღწევების შეფასების მონიტორინგი, მოსწავლეთა ეროვნულ და საერთაშორისო კონკურსებსა და ოლიმპიადებში მონაწილეობა. გაწერილია სტრატეგიული მიზნის შესაბამისად, ჩასატარებელი აქტივობის, პასუხისმგებელი პირებისა და ვადის მითითებით. სკოლის 2022-2023 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ N63 2022წ. 7 სექტემბრის ბრძანების შესაბამისად . ერთწლიანი გეგმა გამომდინარეობს სკოლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	განვითარების ექვსწლიანი სტრატეგიული გეგმის მიზნებიდან და კონკრეტული ამოცანების გადაჭრას ისახავს მიზნად. გეგმის მიხედვით მისაღწევი მიზნებია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესება, სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაფუძნებული მიდგომა, ინოვაციური პედაგოგიური მიდგომების დანერგვის ხელშეწყობა, კომპლექსური დავალებების დანერგვა, მოსწავლეთა მიღწევების დინამიკის შესწავლა, შედეგების ანალიზი და შესაბამისი დამატებითი სამუშაოების განხორციელება. კლუბების შექმნა და ფუნქციონირება. კეთილგანწყობილი და უსაფრთხო გარემოს შექმნა, მშობელთა ჩართვა სასკოლო ცხოვრებაში, სასკოლო პროექტების განხორციელება, მასწავლებელთა პროფესიული განვითარება. დაგეგმილი აქტივობები ეფუძნება სკოლის ღირებულებებს და მიმართულია ადამიანური და მატერიალური რესურსის ეფექტიანად გამოყენებასა და გაუმჯობესებაზე. ***სასურველია ერთწლიან და ექვსწლიან გეგმებში ჩანდეს ანალიზის შედეგები და ლოგიკური კავშირი საჭიროებებსა და ინტერვენციებს შორის.***
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს არეას 2022-2023 ერთწლიანი სამოქმედო გეგმა; • შპს არეას განვითარების ექვსწლიანი სტრატეგიული გეგმა 2022-2028 წლები;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში გამოცემული აქტებისა და კორესპოდენციების აღრიცხვა ხორციელდება დირექტორის ბრძანების N 57 07.09.2021წ ერთიანი საქმისწარმოების წესის შესაბამისად. დოკუმენტების აღრიცხვის მიზნით, არსებობს შემოსული და გასული კორესპოდენციის აღრიცხვის ჟურნალი, სკოლის დირექტორის ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი, შრომითი ხელშეკრულებების რეესტრი და პედაგოგიური საბჭოს ოქმების აღრიცხვის ჟურნალები. ასევე, მოსწავლეთა მოძრაობის ბრძანებების ჟურნალი. ყველა ჟურნალი დანომრილია და აკინძულია, დამოწმებულია სკოლის ბეჭდით და დირექტორის ხელმოწერით. დაწესებულებას შემუშავებული აქვს სატიტულო ფურცელი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• საქმისწარმოების ჟურნალების ვიზუალური დათვალიერება; • ერთიანი საქმისწარმოების წესი; • გასაუბრება საქმის მწარმოებელთან;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	*2,1 ბ) ექსპერტთა ვიზიტისას, წვიმის დროს დაფიქსირდა, რომ სკოლის შენობის გარკვეულ ნაწილში ჩამოდის წყალი და აზიანებს საკლასო ოთახებს. ერთი საკლასო ოთახი ამჟამად არ გამოიყენება, რადგან დაზიანებულია წვიმისგან. ერთ მეთერთმეტე კლასს არ აქვს საკლასო ოთახი და მათთვის სასწავლო პროცესი მიმდინარობდა სკოლის დერეფანში. სკოლამ აღნიშნული პრობლემის აღმოსაფხვრელად დაუყონებლივ შეაკეთოს შენობის სახურავი.* <u>არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას აღნიშნული რეკომენდაცია გათვალისწინებულია.</u>
რჩევები:	*2,3 ექსპერტთა მიერ სკოლას მიეცა რჩევა ბიბლიოთეკაში პერიოდული გამოცემების გამოწერასთან დაკავშირებით.* *2,7 შინაგანაწესის 18 მუხლში გაწერილია წახალისების სახეები; მადლობის გამოცხადება, პრემიის გაცემა, მაგრამ არ არის გაწერილი რა შემთხვევაში მიიღებს სკოლის თანამშრომელი წახალისებას. ვიზიტის დროს სკოლამ შეიტანა ცვლილება და შინაგანაწესში ასევე გაიწერა კონკრეტულ გადაცდომაზე კონკრეტული სახდელები და ასევე რა შეიძლება ჩაითვალოს დისპლინურ გადაცდომის სიმძიმედ ან/და ხარისხად.* <u>არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას აღნიშნული რჩევა გათვალისწინებულია.</u>
ხარვეზი:	*2,2 გ) ექსპერტთა ვიზიტის დროს სპორტული დარბაზი გამოიყენებოდა სამშენებლო მასალის საწყობად. ასევე დარბაზს არ აქვს ფანჯრები, იატაკი მოუწესრიგებელია, არ არის დამონტაჟებული გათბობის სისტემა. აქედან გამომდინარე, დარბაზში შეუძლებელია სპორტის გაკვეთილების ჩატარება.* <u>არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას აღნიშნული ხარვეზი აღმოფხვრილია. სპორტული დარბაზი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.</u>
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ სტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

3. ადამიანური რესურსი

3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს არეა სკოლამ წარმოადგინა სკოლის მართვის საინფორმაციო სისტემის პორტირებული მონაცემები, რომლის მიხედვითაც სკოლაში მუშაობს 31 თანამშრომელი, მათ შორის 26 ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას. საშტატო განრიგის მიხედვით სკოლას ჰყავს: • დირექტორი; • დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობით დარგში; • ხარისხის მართვის მენეჯერი; • ფინანსური მენეჯერი; • საინფორმაციო მენეჯერი; • საქმისმწარმოებელი; • ექთანი; • ბიბლიოთეკარი; • 2 (ორი) ღამის დარაჯი; • დამლაგებელი;
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის საშტატო განრიგი; • თანამშრომელთა პირადი საქმეები;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ	
პედაგოგთა საერთო რაოდენობა	26
მაძიებელი/მოწვეული	1/2
უფროსი მასწავლებლის სტატუსის მქონე	18
წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მქონე	1
უსტატუსო მასწავლებელი	4

3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულებამ წარმოადგინა მასწავლებელთა პირადი საქმეები, რომლებიც შეესაბამება არსებულ კანონმდებლობას. 1 მასწავლებელს აქვს მინიჭებული წამყვანი მასწავლებლის სტატუსი, 18 უფროსი მასწავლებელია, 1 მაძიებელი მასწავლებელია და 2 მოწვეული მასწავლებელი, 4 უსტატუსო მასწავლებელი,რომელთაგანაც ერთ მასწავლებელზე სკოლას აქვს გაგზავნილი წერილი მასწავლებლის სახლში მაძიებლობის პროგრამაში ჩართვასთან დაკავშირებით. სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნათა შესაბამისად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• მასწავლებლის პირადი საქმეები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის მასწავლებელთა შერჩევისას სკოლა ხელმძღვანელობდა საქართველოს განათლების ,მეცნიერების, კულტურის და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს 174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესით“. სკოლას ასევე შემუშავებული აქვს კონკურსის ჩატარების წესი. პირველ ეტაპზე, კანდიდატი წარადგენს რეზიუმეს, შემდეგ ხდება გასაუბრება საკონკურსო კომისიასთან. ვაკანტური ადგილის შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება მასწავლებლის სახლის ვებ-გვერდზე და სხვა საინფორმაციო საშუალებებში. შრომითი ურთიერთობების წარმოშობა რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით (თავი 4) დასაქმებულის წახალისების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სკოლის დირექტორი (შინაგანაწესი, მუხლი 19) დასაქმებულის მოტივაციის ამაღლების კუთხით, შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის. დამსაქმებელი უფლებამოსილია დასაქმებულთა მიმართ გამოიყენოს წახალისების ფორმები. დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები გაწერილია შინაგანაწესში, სადაც განსაზღვრულია გადაცდომების და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	პასუხისმგებლობის სახეები (შინაგანაწესი, მუხლი 20). დასაქმებულთა დისციპლინურ გადაცდომებს განიხილავს სკოლის დირექტორი (შინაგანაწესი, მუხლი 22).
საპრეტემტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის შინაგანაწესი; • ინტერვიუ სკოლის ადმინისტრაციასთან; • კონკურსის ჩატარების წესი.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის ყველა თანამშრომელთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება.წამყვან მასწავლებელთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია წამყვანი მასწავლებლის მოვალეობები. თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები არის ერთწლიანი, მხოლოდ მაძიებელ და უსტატუსო მასწავლებელთან გაფორმებული ხელშეკრულება არის ორწლიანი. ყველა ხელშეკრულება გატარებულია ხელშეკრულების რეგისტრაციის რეესტრში, რომლის განახლება ხდება ყოველწლიურად. სკოლას მიეცა რჩევა შრომის ხელშეკრულებების ვადები მოიყვანოს შესაბამისობაში შრომის კოდექსის მოთხოვნებთან. სკოლას მიეცა რჩევა შრომის ხელშეკრულებების აღრიცხვა აწარმოოს შრომის ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალში, რაც მისცემს შესაძლებლობას აღრიცხოს განსხვავებული ვადის მქონე ხელშეკრულებები და ამასთან მოიცავს სრულყოფილ ინფორმაციას დასაქმებულზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები; ხელშეკრულებების აღრიცხვის რეესტრი.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლამ წარმოადგინა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების გეგმა 2022-2023 სასწავლო წლისთვის. სკოლამ ვერ წარმოადგინა სხვა მსგავსი დოკუმენტი, თუ როგორ ხდება სკოლის თანამშრომელთა პროფესიული განვითარება. სკოლაში არ არის შექმნილი ხარისხის განვითარების და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, თუმცა სკოლას ჰყავს ხარისხის მართვის მენეჯერი. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიზნით საქმიანობა ხორციელდება საგნობრივ კათედრებზე. დეტალურად არის გაანალიზებული თითოეული მასწავლებლის საქმიანობა, მასწავლებელთა ურთიერთდასწრება. კათედრების თავმჯდომარეების სემესტრული ანალიზი მოიცავს როგორც მიღწევებს, ასევე კათედრის წევრების წინაშე არსებულ გამოწვევებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• მასწავლებლების პროფესიულიგანვითარების 2022-2023 სასწავლო წლის გეგმა • საგნობრივი კათედრების პორტფოლიოები; • მასწავლებლებთან და დირექციასთან გასაუბრება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სასკოლო საზოგადოების ინტერვიუირებით გამოვლინდა, რომ სკოლაში არის კეთილგანწყობილი და კოლეგიალური გარემო. სკოლა პერსონალს, მოსწავლეებსა და მშობლებს ურთიერთპატივისცემასა და თანამშრომლობაზე დაფუძნებულ ორგანიზაციულ კულტურას სთავაზობს. სკოლაში პერიოდულად ტარდება გამოკითხვები. თითოეულ მოსწავლეს, მშობელს,მასწავლებელს შესაძლებლობა აქვს თავისუფლად გამოთქვას საკუთარი აზრი, შეხედულებები. სკოლაში კარგად არის გადანაწილებული პასუხისმგებლობა. სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს აქვს თვითრეალიზაციის და სასკოლო ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის საშუალება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ინტერვიუ სკოლის ადმინისტრაციასთან, მასწავლებლებთან, მშობლებთან და მოსწავლეებთან; • შინაგანაწესი.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

რეკომენდაციები:	
რჩევები:	*3.4. სკოლას მიეცა რჩევა შრომის ხელშეკრულებების ვადები მოიყვანოს შესაბამისობაში შრომის კოდექსის მოთხოვნებთან.* *3.4 სკოლას მიეცა რჩევა შრომის ხელშეკრულებების აღრიცხვა აწარმოოს შრომის ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალში, რაც მისცემს შესაძლებლობას აღრიცხოს განსხვავებული ვადის მქონე ხელშეკრულებები და ამასთან მოიცავს სრულყოფილ ინფორმაციას დასაქმებულზე.*
ხარვეზები:	-
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ **სტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **სტანდარტი დარღვეულია**

● თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, ექსპერტთა ჯგუფი ამასთანავე ავსებს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე.

XI. თანდართული დოკუმენტაცია

დასკვნის მასალები: 2 (RAR ფაილი) დანართი

თბილისი 2022 წელი

28 ნოემბერი

გვერდების რაოდენობა 38

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.